ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4204685

ნომერი: AR1635387

თარიღი : 05.10.2018

გაცემის თარიღი : 08.10.2018

გაცნობის თარიღი : 08.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 5 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დიმიტრი უზნაძე , N 16-18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი მენთეშაშვილი პ/ნ 01017016550
- ძმ. ზუბალაშვილების ქ.#30/7

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვასილი მენთეშაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017016550

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მინდია ფუტკარაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 05 ოქტომბრის AR1635387 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოტე მარჯანიშვილის ქ. N5-ში არსებული შენობის დემონტაჟის ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, კოტე მარჯანიშვილის ქ. N5-ში არსებულ შენობა- ნაგებობას მინიჭებული აქვს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი და ყველა შენობაზე, რომელიც განთავსებულია ძეგლის საკადასტრო ერთეულში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ვრცელდება ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ „ საქართველოს კანონის VI თავის 25–ე მუხლის შესაბამისად, უძრავ ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები იყოფა შემდეგ ტიპებად: ა) კვლევითი სამუშაოები, ბ) სარეაბილიტაციო სამუშაოები. უძრავ ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

ა) დაზვერვა;
ბ) გაწმენდა;
გ) კონსერვაცია;
დ) რესტავრაცია;
ე) რეკონსტრუქცია;
ვ) ადაპტაცია;
ზ) უძრავი ძეგლის ცვლილება.

ამავე კანონის 26–ე მუხლის თანახმად, უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას, ქ. თბილისში, კოტე მარჯანიშვილის ქ. N5-ში არსებული შენობა–ნაგებობის დემონტაჟის ნებართვის გაცემის შესახებ ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.